KA990188364675621

#41/19
19 / იანვარი / 2021 წ.

სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს
გენერალურ დირექტორს
ბატონ ნიკოლოზ ანთიძეს
სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს
კულტურული მემკვიდრეობის ინსპექციის
უფროსის დავით ტყეშელაშვილის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ნიკოლოზ,

წარმოგიდგენთ, კულტურული მემკვიდრეობის ინსპექციის თანამშომლის, რევაზ შეშვიაშვილის 2021 წლის 18 იანვრის, მივლინების ანგარიშს. ტყიბულის მუნიციპალიტეტში, გელათის ღვთისმშობლის ტაძრისისა და მის ყელზე მოწყობილ დროებით გადახურვაზე არსებული მდგომარეობის შესახებ.

დანართი: ანგარიში ფოტომასალით 5 (ხუთი) გვერდი.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

კულტურული მემკვიდრეობის ინსპექციის
უფროსი

დავით ტყეშელაშვილი

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 18 იანვარს, გელათის სამონასტრო კომპლექსზე მივლინებული ვიყავით ინსპექციის სამსახურის უფროსი დ. ტყეშელაშვილი, ამავე სამსახურის სპეციალისტები ნ. ზაზუნიშვილი და რ. შაშვიაშვილი და უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი თ. ონიანი.

მოგახსენებთ, რომ რ. შაშვიაშვილის 29.10.2020 წ. ანგარიშის მერე, სადაც აღნიშნულია: 1. აფრების საბურველზე მოწყობილი დროებითი გადახურვის წყალშემკრები ძაბრების პროექტის დარღვევით განთავსებასა და წყალგადამყვანი არხების გადაბმის ადგილების არასწორად მოწყობაზე მთავარი ტაძრის დროებითი გადახურვის მთელ პერიმეტრზე; 2. დგარების კაუჩუკის სადებების ქვეშ არ არსებულ პროექტით გათვალისწინებულ ფენილებზე; 3-4. დროებითი გადახურვის მოწყობისა და ფაქტიური მდგომარეობის ცდომილებაზე; და ბოლო 5. სამხრეთ-დასავლეთი მინაშენის დროებითი გადახურვის ქვეშ დატოვებულ ლურჯი ფერის ე.წ. „ტენტზე“, შესრულებულია მხოლოდ უკანასკნელი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 29.10.2020 ანგარიშში საუბარია იმაზე, რომ იმ დროისათვის არ იყო დამონტაჟებული მონიტორინგისათვის პრინციპულად აუცილებელი და მნიშვნელოვანი კიბეები, ბილიკები და მოაჯირები, რაც ასევე პროექტით იყო გათვალისწინებული, ეს ბილიკები, მოაჯირები და კიბეები უზრუნველყოფდა უსაფრთხო გადაადგილებას სახურავზე.

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელი, ქბნ. მ. დვალიშვილი „23 ნოემბერი 2020 REF: # 26 /23.11.2020“ გაფრთხილების 1-ლი პუნქტის პასუხად იტყობინება, რომ „არსებული სიტუაცია აისახება კორექტირებულ ნახაზებში“; „რაც შეეხება გადაბმის ადგილებსა და დაბოლოების ხუფებს, ამჟამად შემოტანილია და დამონტაჟებულია“; მე-2 პუნქტზე არაფერს წერს; მე-3 და მე-4 პუნქტის პასუხად წერს: „მოხდა ადრე დამონტაჟებული ხარჩოების მოხსნა და გადაკეთება“. ხოლო რაც შეეხება უსაფრთხოების ნორმებით გათვალისწინებულ მოაჯირებს,ბილიკებსა და კიბეებს ქბნ. მ. დვალიშვილი იტყობინება, რომ „მონიტორინგის ჩატარების შემთხვევაში წინასწარი შეტყობინების საფუძველზე კიბეები და ბილიკები მოეწყობა მოთხოვნის შესაბამისად“.

18.01.2021 მდგომარეობით: 1. არსებული სიტუაცია არ ასახულა ნახაზებში. პროექტის ავტორს დღემდე არ წარმოუდგენია ნახაზების კორექტირებული ვერსია (იგივე ეხება 29.10.2020 ანგარიშის მე-3 და მე-4 პუნქტებსაც);

2. ჰორიზონტალური წყალგადამყვანი არხების დახრის კუთხე არ არის საკმარისი, ხოლო გადაბმის ადგილები ისევ გაუმართავია და ვერ ასრულბს დანიშნულებას, რის გამოც მთელ დროებით გადახურვის პერიმეტრზე (გადაბმის ადგილებში) აპარებს წყალს, ზოგ ადგილას გუბდება, წვეთავს, ხოლო წვეთები ასველებს ცოკოლს;

3. ისევ არაა დამონტაჟებული დგარების კაუჩუკის სადებების ქვეშ, პროექტით გათვალისწინებული ფენილები.



რაც შეეხება მონიტორინგისათვის აუცილებელ მოაჯირებს, ბილიკებს და კიბეებს, მიუხედავათ არაერთი მითითბისა დღეის მდგომარეობით არ არსებობს, შესაბამისად წვიმიანი და თოვლიანი ამინდის დროს თუნუქის დროებით გადახურვის საფარზე ფეხი ძალიან ცურავს რაც უდიდესი საფრთხის შემცველია.

აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ დღევანდელი ინსპექტირებისას გამოვლინდა სხვა გადაცდომებიც, მაგ.: თუნუქი ზოგ ადგილას არასწორად - პირიქითაა დაგებული ქანობის მიმართ.

აგრეთვე წყალგამტარ ვერტიკალურ მილებზე ბევრ ადგილას გამოყენებულია 90° მუხლები, რაც მეტ წინაღობას ქმნის და თავისთავად არაა რეკომენდებული.

წინაღობას ქმნის, აგრეთვე სილიკონის ჰერმეტიკებიც, რომლებიც გადაბმის ბევრ ადგილას ბორცვებადაა ამოწეული, წყალს არ ატარებს და იწვევს ნალექის დაგუბებას და გაჟონვას. შვერილი აფსიდების დროებით გადახურვაზე თუნუქი ბევრ ადგილას მოკლეა და ვერ სწვდება წყალამრიდ სადინარს და ბევრი სხვა.

არასწორად განაწილებული და დამონტაჟებული წვიმსადინრები მთლიანად შესაცვლელია.